




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N185

2013 წლის 24 დეკემბერი
ქალაქი ხაშური



უმწეოთა უფასო კვების 2014 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. დამტკიცდეს „უმწეოთა უფასო კვების 2014 წლის მუნიციპალური პროგრამა (თან ერთვის).
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთ თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ.#15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

1	პროგრამის სათაური	უმწეოთა უფასო კვების 2014 წლის მუნიციპალური პროგრამა
2	პროგრამის მიზანი	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება
3	პროგრამის რეგულირების სფერო	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები
4	პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე, ბენეფიციარები	სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-70 000 ქულის ფარგლებშია; შრომისუუნარო და მარტოხელა პირები;
5	ბენეფიციართა რაოდენობა	170 პირი
6	პროგრამის მოქმედების ვადა	ერთი წელი
7	პროგრამის დაწყების თარიღი	01.01.2014 წ.
8	პროგრამის დასრულების თარიღი	31.12.2014 წ.
9	პროგრამის მიხედვით დღეში ერთი პირის კვებაზე გახარჯული თანხა	1.85 ლარი
10	უფასო სადილის გაცემის დღეების რიცხვი კვირის განმავლობაში	7 დღე
11	პროგრამის ბიუჯეტი	115 000 ლარი
12	დაფინანსების წყარო	ხაშურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი
13	პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე	მარტივი
14	მუნიციპალური პროგრამის განხორციელების მექანიზმი	170 პირის უფასო კვებით (სამკომპონენტო სადილი) მომსახურების შესყიდვა მუნიციპალური შესყიდვის წესის შესაბამისად
15	გადაწყვეტილების მიმღები პირი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

პროგრამის ადმინისტრირების (მისი მართვის, ზედამხედველობისა და მონიტორინგის)
წესები და პირობები

განაცხადის მიღებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო:

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

განცხადების დამუშავებაზე პასუხისმგებელი
პირი/ორგანო

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური

საქმის განხილვაზე პასუხისმგებელი პირი/
ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის მომზადებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

გადაწყვეტილების პროექტის ვიზირებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგებლის მოადგილეები, საბიუჯეტო დაგეგმვის, მოსაკრ. ადმ.
და საფინანს. ზედამხ. სამსახური; იურიდიული უზრუნველყ. და
შიდა აუდიტის სამსახური

გადაწყვეტილების აღსრულებაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

პროგრამის ზედამხედველობაზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

სფეროს კურატორი გამგებლის მოადგილე

პროგრამის პერიოდულ მონიტორინგზე
პასუხისმგებელი პირი/ორგანო

გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამსახურის უფროსი